ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 20 მაისი , 2013 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ თისელის ეკლესიის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 29 აპრილს გამოცხადებულ N 752 კონკურსზე. ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე 8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე	/მერაბ ბოჭოიძე/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ზაზუნიშვილი/
კომისიის წევრი	/ნინო კორძახია/
კომისიის წევრი	/მანანა სურამელაშვილი/
კომისიის წევრი	/ვაჟა ილურიძე/
კომისიის წევრი	/ირინე საბაშვილი/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/თეა ონიანი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ

ქ. თბილისი 20 მაისი, 2013 წელი

სატენდერო კომისიის წევრი პაატა გაფრინდაშვილი ვადასტურებ, რომ თისელის ეკლესიის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 29 აპრილის გამოცხადებულ N 752 კონკურსზე ჩემი მონაწილეობა ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და კონკურსში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში ვიმყოფები. აღნიშნულიდან გამომდინარე ვწყვეტ მონაწილეობას ამ შესყიდვის განხორციელებაში.

კომისიის წევრი /პაატა გაფრინდაშვილი/

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

თბილისის ეკლესიის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 30.05.2013წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერაბ ბოჭოიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – გენერალური დირექტორი;
გიორგი ნაკაშიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ადმინისტრაციული სამსახურის მთ.მენეჯერი;
ვაჟა ილურიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მენეჯერი;
ნიკოლოზ ანთიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – იურიდიული სამსახურის მენეჯერი;
გიგლა ჭანუყვაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ. კოორდინატორი;
ქრისტინე დარჩია – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის თანამშრომელი;
ნინო ნოზაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფრ.კოორდინატორი;
გიორგი მისრიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფ.კოორდინატორი.

თეა ონიანი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – იურიდიული სამსახურის მთ.კოორდინატორი;
გუგა გოგაძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ადმინისტრაციული სამსახურის მთ.კოორდინატორი.

სხდომას არ ესწრებოდა:
პაატა გაფრინდაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – გენერალური დირექტორის მოადგილე ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ თბილისის ეკლესიის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 29 აპრილს გამოცხადებული N 752 კონკურსის შედეგების განხილვა

კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის წევრის, გიორგი ნაკაშიძის გამოსვლა, რომელმაც გააცნო კომისიის წევრებს კონკურსის შედეგები, რომლის თანახმად საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2013 წლის ა/წ 20 მაისს.

საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2 (ორი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

1. შპს „არქიტექსი“ - ღირებულებით 29961,36 ლარი;
2. სსიპ საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრი - ღირებბულებით 29988,00 ლარი;

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.

საკონკურსო კომისიის ყველა წევრმა მოიწონა და მხარი დაუჭირა სსიპ საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის მიერ წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალა. მაგრამ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება. კერძოდ,

კონკურსანტის სახით წარმოდგენილი „საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი“-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად მითითებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად (საქართველოს პატრიარქის 2003 წლის 31 იანვრის #4 ბრძანება, ასევე საპატრიარქოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია) „საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი“ წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს“ სტრუქტურულ ერთეულს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კი „საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა შეიძლება განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლი და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი: <u>ა) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში; ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში.“</u>

ვინაიდან კანონით გათვალისწინებული არც ერთი შემთხვევა სახეზე არ არის, შეუძლებელია ცენტრს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საპატრიარქოს სტრუქტურულ ერთეულს, გააჩნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის კანონით მინიჭებული უფლება-უნარიანობა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის ტერმინი „პირი“ გულისხმობს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ცენტრი, რომელიც თავისთავად არ არის ფიზიკური პირი, როგორც შესყიდვებში მონაწილე სუბიექტი წარმოადგენდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იურიდიულ პირს ან სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს.

ამასთან საგულისხმოა რომ, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით), <u>ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.“</u>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია „საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი იქნეს მასი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლება-უნარიანობის ან მისთვის სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილების მიმნიჭებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის მხრიდან დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლება-

უნარიანობის ან მისთვის სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილების მიმნიჭებელი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საკითხს.

კომისიამ დაადგინა:

1. დაევალოს საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრს შეტყობინების მიღების დღიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლება-უნარიანობის ან მისთვის სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილების მიმნიჭებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მოხდეს კონკურსანტის საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის დისკვალიფიკაცია.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით;

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრს.

კომისიის თავმჯდომარე	/მერაბ ბოჭოიძე/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ზაზუნიშვილი/
კომისიის წევრი	/ნინო კორძახია/
კომისიის წევრი	/მანანა სურამელაშვილი/
კომისიის წევრი	/ვაჟა ილურიძე/
კომისიის წევრი	/ირინე საბაშვილი/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/თეა ონიანი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 07/08/2/562 "30" 05 2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" წარმოგიდგენთ თბილისის ეკლესიის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსის (#752) განხილვის მიმდინარეობის ამსახველ დოკუმენტებს (ელექტრონულ ვერსიას) თქვენს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 12/08/2/559 "30" 05 2013წ.

სსიპ საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების,
ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის
ხელმძღვანელი ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითს (დავით მახარაძეს)

მის: ქ.თბილისი, ერეკლე მეფის ქ.1

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს საკონკურსო კომისიამ განიხილა თისელის ეკლესიის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 29 აპრილს გამოცხადებულ N752 კონკურსზე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.

თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება. კერძოდ,

კონკურსანტის სახით წარმოდგენილი „საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი"-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად მითითებულია - საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად (საქართველოს პატრიარქის 2003 წლის 31 იანვრის #4 ბრძანება, ასევე საპატრიარქოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია) „საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი" წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს" სტრუქტურული ერთეულს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კი „საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა შეიძლება განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლი და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი: <u>ა) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში; ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში."</u>

ვინაიდან კანონით გათვალისწინებული არც ერთი შემთხვევა სახეზე არ არის, შეუძლებელია ცენტრს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საპატრიარქოს სტრუქტურულ ერთეულს გააჩნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის კანონით მინიჭებული უფლება-უნარიანობა.

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის ტერმინი „პირი“ გულისხმობს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ცენტრი, რომელიც თავისთავად არ არის ფიზიკური პირი, როგორც შესყიდვებში მონაწილე სუბიექტი წარმოადგენდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იურიდიულ პირს ან სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს.

ამასთან საგულისხმოა რომ, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით), ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია „საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი იქნეს მისი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლება-უნარიანობის ან მისთვის სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილების მიმნიჭებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

გთხოვთ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2013 წლის 3 ივნისის 18:00 სთ-ის ჩათვლით) წარმოადგინოთ დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლება-უნარიანობის ან მისთვის სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილების მიმნიჭებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მოხდება კონკურსანტის საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის, როგორც არაუფლებამოსილი პრეტენდენტის, დისკვალიფიკაცია.

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

მერაბ ბოჭოიძე